სსიპ კოლეჯი ,,აისი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების წესით გეგმავს შემდეგი პროფესიული მომზადების პროგრამების დამატებას:

1.პროგრამის სახელწოდება: *ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში*
Vegetable and Melon Crop Production in Open and Protected Cultivation Systems

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

კვირების/საათების რაოდენობა: 14/280სთ.

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება, ასაკი 18 წელი

განხორციელების ადგილი: ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის ფილიალი

პროგრამის მიზანი: ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში - პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერას, პირველად გადაუდებელ დახმარების აღმოჩენას, ღია და დახურულ გრუნტში ნიადაგის მომზადება - დამუშავებას სარგავი კულტურის შესაბამისად, საჩითილე სუბსტრატის მომზადებას, ჩითილის გადარგვის ვადების დადგენას, ღია და დახურულ გრუნტში ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესვას, ჩითილის წარმოებას, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ჩითილის მყნობას და ნამყენი ჩითილის მოვლას დახურულ გრუნტში, ღია და დახურულ გრუნტში ჩითილის გადარგვას და მოვლას, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მორწყვას და გამოკვებას, მავნებელ - დაავადებისგან ინტეგრირებულ დაცვას და ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის მწიფობის დადგენას, კრეფას და დასაწყობებას

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა
2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა
3. ღია და დახურულ გრუნტში ნიადაგის მომზადება - დამუშავება სარგავი კულტურის შესაბამისად
4. საჩითილე სუბსტრატის მომზადება, ჩითილის გადარგვის ვადების დადგენა
5. ღია და დახურულ გრუნტში ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების თესვა, ჩითილის წარმოება
6. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ჩითილის მყნობა და ნამყენი ჩითილის მოვლა დახურულ გრუნტში
7. ღია და დახურულ გრუნტში ჩითილის გადარგვა და მოვლა
8. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მორწყვა და გამოკვება
9. მავნებელ - დაავადებისგან ინტეგრირებული დაცვა
10. ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურის მწიფობის დადგენა, კრეფა და დასაწყობება

შეფასებების სისტემა:	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელიდა განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ➢ სწავლის შედეგი დადასტურდა ➢ სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა განმსაზღვრელი შეფასებისა უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება

პროგრამის მოკლე აღწერა: ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების წარმოება ღია და დახურულ გრუნტში - პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ მინიმუმ საბაზო განათლების მქონე 18 წელს მიღწეულ პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 14 კვირას, სულ 280 საათს, კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და კოლეჯის ტერიტორიაზე არსებულ ღია და დახურულ გრუნტში (C გარემო). პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები

2. პროგრამის სახელწოდება:	***შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მონტაჟი*** ***Installation of Internal Water Supply and Sewage Systems of Buildings***
პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება	
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე	
კვირების/საათების რაოდენობა: 12/300სთ.	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება, ასაკი 18 წელი	
განხორციელების ადგილი: კაჭრეთის ბაზა	
პროგრამის მიზანი: შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მონტაჟი"- პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს სამუშაო მოედანზე უსაფრთხოების ზოგადი წესების აღწერას, სანტექნიკური ნახაზების კითხვას, გარე წყალსადენი ქსელიდან შენობაში შემყვანი მილის მოწყობას, მილსადენის შიდა ქსელის მონტაჟს, შიდა წყალარინების ქსელში დგარების, სარინის და გამომყვანი მილების მონტაჟს, საწმენდი რევიზიის, ტრაპებისა და სიფონების მონტაჟს, წყალჩადინების ქსელის მონტაჟს, სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟს, შენობის შიდა წყალარინების სისტემების გამოცდას და ხარვეზების აღმოფხვრას	
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) **კურსდამთავრებულს შეუძლია:** 1. სამუშაო მოედანზე უსაფრთხოების ზოგადი წესების აღწერა 2. სანტექნიკური ნახაზების კითხვა 3. გარე წყალსადენი ქსელიდან შენობაში შემყვანი მილის მოწყობა 4. მილსადენის შიდა ქსელის მონტაჟი 5. შიდა წყალარინების ქსელში დგარების, სარინის და გამომყვანი მილების მონტაჟი 6. საწმენდი რევიზიის, ტრაპებისა და სიფონების მონტაჟი 7. წყალჩადინების ქსელის მონტაჟი 8. სანტექნიკური მოწყობილობების მონტაჟი 9. შენობის შიდა წყალარინების სისტემების გამოცდა და ხარვეზების აღმოფხვრა	
შეფასებების სისტემა:	პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელიდა განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ➢ სწავლის შედეგი დადასტურდა ➢ სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა განმსაზღვრელი შეფასებისა უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება
პროგრამის მოკლე აღწერა: შენობის შიდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მონტაჟი - პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ მინიმუმ საბაზო განათლების მქონე 18 წელს მიღწეულ პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 25 საათს, სულ 300 საათს. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და სასწავლო სახელოსნოში (C გარემო). პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები	

3. პროგრამის სახელწოდება: *ხეხილის სხვლა-ფორმირება და მავნებელ-დაავადებებისგან დაცვა* *Pruning and Shaping of Fruit Trees*
პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მეოთხე
კვირების/საათების რაოდენობა: 10/245 სთ.
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი: კაჭრეთის ბაზა
პროგრამის მიზანი: ხეხილის სხვლა-ფორმირება და მავნებელ-დაავადებებისგან დაცვა - პროფესიული მომზადების პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს ხეხილის გასხვლისა და ფორმირების წესების დახასიათებას, ხეხილის გასხვლასა და ფორმირებას, მავნე ორგანიზმების ამოცნობას, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების პირობების აღწერას, ხეხილის ინტეგრირებულ დაცვას, ხეხილის ბაღში პესტიციდებთან მუშაობასა და სტრესული ფაქტორების მართვას.
სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით) **კურსდამთავრებულს შეუძლია:** 1. ხეხილის გასხვლის და ფორმირების წესების დახასიათება 2. ხეხილის გასხვლა 3. ხეხილის ფორმირება 4. ხეხილის მავნე ორგანიზმების ამოცნობა 5. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების პირობების აღწერა 6. ხეხილის ინტეგრირებული დაცვა 7. პესტიციდებთან მუშაობა ხეხილის ბაღში 8. სტრესული ფაქტორების მართვა
შეფასებების სისტემა: პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელიდა განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ➢ სწავლის შედეგი დადასტურდა ➢ სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა განმსაზღვრელი შეფასებისა უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.
პროგრამის მოკლე აღწერა: ხეხილის სხვლა-ფორმირება და მავნებელ-დაავადებებისგან დაცვა - პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, სულ 245 საათს. პირველი ცხრა კვირის განმავლობაში კვირეული სასწავლო დატვირთვა არის 25 სააათი, ხოლო ბოლო კვირას -20 საათი. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. სწავლება განხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ. სწავლის შედეგების მიღწევა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიასა (A გარემო) და კოლეჯის ტერიტორიაზე არსებულ ხეხილის ბაღში (C გარემო). პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები